საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2014 წლის 17 აპრილის
დადგენილება №1144

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ვახტანგ როდონაიას პროფესორად მოწვევის
შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ და მილენიუმის პროგრამაში უნივერსიტეტის მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიმდინარე წლის 1 მაისიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე მოწვეულ იქნეს პროფესორად ვახტანგ როდონაია.
2. უნივერსიტეტსა და ვახტანგ როდონაიასთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობად განისაზღვროს შემდეგი: უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ვახტანგ როდონაიას ჩართვას მილენიუმის ათასწლეულის განვითარების ფონდის პროგრამაში, ხოლო ვახტანგ როდონაია კისრულობს ვალდებულებას კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის დასრულების შემდგომ შრომითი ურთიერთობა გააგრძელოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინფორმატიკისა და მართვის სისიტემების ფაკულტეტზე, არანაკლებ ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ვადით. ვახტანგ როდონაიას აკადემიური დატვირთვა მიეცეს კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის დასრულების შემდგომ, შესაბამისი ანაზღაურებით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე